ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 37240382**

თარიღი:**07/02/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ნათელა ზედგინიძის, ნინო აბაშიძის, ავთანდილ გოლიაძის, ანა სადრაძის, ანა მუკბანიანის და გაგა გოგოტიშვილის სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები - ნათელა ზედგინიძე, ნინო აბაშიძე, ავთანდილ გოლიაძე, ანა სადრაძე, ანა მუკბანიანი და გაგა გოგოტიშვილი მივლინებულ იქნან ქალაქ ბათუმში, USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების (HICD) პროექტით გათვალისწინებულ ტრენინგზე დასასწრებად, მიმდინარე წლის 8 თებერვალს 1 (ერთი) დღით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი